



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 1 18 01498281

21/11/2018

**"ფაქტმეტრის" რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს
ელ. ფოსტა: ninotchibchiuri@gmail.com**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2018 წლის 07 ნოემბრს განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N1437658; 07.11.2018) პასუხად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (ამჟამად უფლებამონაცვლე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო), შპს „სპორტმშენსერვისსა“ და კანადურ კომპანიას BEHLENINDUSTRIES LP-ს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული N160 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი (კანადურ კომპანიას BEHLENINDUSTRIES LP) ვალდებული იყო, რომ ქ. გორის სპორტის სასახლის (ქ. ბათუმი, ქ. თელავი, ქ. გორი) სამშენებლო სამუშაოები დაესრულებინა არაუგვიანეს 2017 წლის 1 ივლისისა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი კი უნდა გაფორმებულიყო არაუგვიანეს 2017 წლის 31 აგვისტოსი, ინსპექტირების დასკვნისა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადასტურებული ფორმა N2 საფუძველზე. აღნიშნულ ვადებში მიმწოდებლის მიერ ზემოთ ხსენებული ვალდებულებები არ იქნა შესრულებული და მხარეთა შორის 2017 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიმართ მყისიერად არ იქნა გამოყენებული პირგასამტეხლობის დარიცხვის უფლება და ქ. გორის სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. მიმწოდებლის მიმართ მოხდა პირგასამტეხლოს (შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე) მოთხოვნის გადავადება (არა უმეტეს 180 დღის ვადით, 2017 წლის 1 ივლისიდან ათვლით) 2017 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით, იმ პირობით, თუ მოცემულ პერიოდში იგი ვერ უზრუნველყოფდა ზემოთ მითითებულ ვალდებულებათა სრულად შესრულებას. მოცემულ ვადებშიც არ იქნა შესრულებული ხსენებული ვალდებულება მიმწოდებლის მიერ და მის მიმართ 2017 წლის 1 ივლისიდან დაიწყო პირგასამტეხლობის

დარიცხვა, რაც დასრულდა აღნიშნული თარიღიდან 180-ე დღეს (2017 წლის 27 დეკემბერს). ასევე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, ქ. გორის სპორტის სასახლის სამშენებლო პროცესის ინსპექტირებასა და სათანადო ტექნიკურ ზედამხედველობაზე სრული დელეგირება გადაცემულ იქნა შპს „სპორტმშენსერვისზე“.

ასევე, რაც შეეხება ობიექტის გახსნასა და ფუნქციონირების დაწყების ვადებს, დღეის მდგომარეობით აღნიშნულზე რაიმე სახის ინფორმაციის მოწოდება შეუძლებელია, ხოლო მშენებლობისთვის სრულად გაწეული დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და ცნობილი გახდება გაწეული და ასანაზღაურებელი ხარჯების სრული ოდენობა.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს. დანართი: „04“ ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო / იურიდიული
დეპარტამენტი / სამართლებრივი უზრუნველყოფის
სამმართველო
სამმართველოს უფროსი
მარიამი ძიძიგური

ქ. ძიძიგური